ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 49240794**
თარიღი:**19/03/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე რიგი საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 20 მარტს, 14:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

   1. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''

   წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32

   დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

   2. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხს: არჩილ ღიბრაძე/

   3. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანები"-სა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM

ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

/მომხს. არჩილ ღიბრაძე/

3. ქალაქ წყალტუბოში , რუსთაველის ქუჩა #27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი#29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული სამი ოთახის (21.375კვ.მ; 21.375კვ.მ. და 33.5კვ.მ., სულ 76.25კვ.მ. ფართის) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით,არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი’’-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი#29.07.35.068) სამსახურეობრივი საჭიროებისათვის , უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი’’-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

5. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი’’-სათვის’’ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ავტომანქანის TOYOTA CAMRY სახ. ნომერი ZT 890 ZT სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

6. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი’’-სათვის’’ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების -OPEL VEQTRA B სახ.ნომერი NN 683 KK.- სპეცავტომანქანა ,,IVECO” ს/ნ ZCFC6500005536845. AA 890 QA ,- გრეიდერი ს/ნ XUC19030HCDB00039.AA 652 D,- ავტომანქანა ,,MERCEDES BENZ’’ სახ. ნომერი DD 773 DU სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

7. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი’’-სათვის’’ 104 (ასოთხი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 61880 (სამოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 13:30 აათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი